პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 205 (10 124) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე

## ქართველ ძიუდოისტთა ბენეფისი

**შეძლებისდაგვარად**, ე. ი. იმისდა მიხედვით რა ინფორმაციაც მოგვეპოვებოდა ან რასაც საკდეხი „გაიმეტებდა", გაცნობებდით ძიუდოისტთა ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებს. ახლა კი მოვუსმინოთ ამ, ჩვენთვის, ისტორიული ასპარეზობის უშუალო მხილველს, საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსს ომზარ შოშიტაიშვილს.

— **ჩემპიონატი**, უკვე გეცოდინებათ, ბელგრადის სპორტის სასახლეში, „პიონერში" ჩატარდა, რვა ათასი ადგილი თითქმის ივსებოდა საღამოს, დილით, საკვალიფიკაციო შეჯიბრებებზე კი ხალვათობა იყო. ბილეთიც საკმაოდ ძვირი ღირდა, განსაკუთრებით სტუმრებისათვის — ნახევარ მილიონ დინარამდე. იუგოსლაველები კი ამის მეათედს იხდიდნენ (ერთი დოლარი დაახლოებით 40000 დინარია, გ. პ.) ტატამზე 69 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ...

● **ქართველმა ძიუდოისტებმა ბელგრადში მართლაც საკვირველ წარმატებებს მიაღწიეს, თუ იყო მათ მომზადებაში რაიმე არსებითი სიახლე, რამაც ასეთი შედეგი განაპირობა?**

—არა, ბიჭებმა ჩვეულებრივ კარგად ივარჯიშეს, ისე, როგორც საერთოდ, საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ემზადებიან ხოლმე, ოღონდ ეგ იყო, სწორი პოზიცია დაიკავა ქვეყნის ნაკრების ახალმა ხელმძღვანელმა ვლადიმერ კაპლინმა, რომელმაც ნება მისცა მწვრთნელებს როგორც სურდათ ისე ემუშავათ და არც შეჯიბრებისას ზედმეტი რჩევა-დარიგებით გაულიზიანებია ვინმე. ჩვენი ოთხეულის მომზადებაში შოთა ხაბარელს საკავშირო საწვრთნელ შეკრებაზე და შემდეგ ჩემპიონატზეც ეხმარებოდნენ ქუთაისელი ომარ მერაბიშვილი და თბილისელი სულხან ..რიშვილი.

● **როგორი იმედები ჰქონდა ვლადიმერ კაპლინს?**

— ნაკრების ხელმძღვანელობა ოთხი მედლის მოპოვებას ვარაუდობდა, ამასთან მხოლოდ ერთი უმაღლესი ჯილდოს იმედი ჰქონდა, ჩვენ კი, საქართველოს წარმომადგენლებმა, „შინაურ" წრეში ვთქვით, რომ

იხ. გვ. 2 გვ



# დიდებიც და პატარებიც

**დიდი** უპირატესობით გაიმარჯვეს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა კისლოვოდსკში გამართულ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. მათ მიერ მოპოვებული ხუთი ოქროსა და სამი ვერცხლის მედალი, ცხადია, ასეთი წარმატების კარგი საფუძველი იყო.

პირველი ადგილები დაიკავეს მიხეილ ხურციძემ (74 კგ), ავთანდილ გოგოლიშვილმა (82), ვახტანგ სულთანიშვილმა (90), ზაზა ტყეშელაშვილმა (100) და ლევან ებანოიძემ (130), ხოლო გივი სისაური, ვასილ ციხისელი და გიორგი გალდავა მეორე ადგილებზე გავიდნენ.

„**შრომითი რეზერვების**" ჭაბუკებმა (1973-1974 წ. წ. დაბ.) თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა კი უჟგოროდში იასპარეზეს, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 250-მდე სპორტსმენი გამოდიოდა.

საქართველოს სპორტსმენებიდან ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელმა ალეკო კახნიაშვილმა (74 კგ), საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის მკვიდრმა შავლეგ ცარციძემ (97), და ყვარლელმა მამუკა ფრეწუაშვილმა (115). თბილისელები ლაშა მუზაშვილი (81) და გიორგი ხაბელაშვილი (58) მეორე ადგილებზე გავიდნენ, გარდა ამისა კიდევ ორი ბრინჯაოს მედალი

მოიპოვეს თბილისელებმა დავით ჩერქეზიშვილმა (97) და გია გიგაურმა (68).

ყველა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენი „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვების სკოლის აღსაზრდელები არიან.

**გია კოტიშაძე.**

# ტამპერეს რინგზე

**საბჭოთა** მოკრივეების სრული უპირატესობით წარიმართა ფინეთის მე-12 საერთაშორისო ტრადიციული ასპარეზობა, რომელიც, ამჯერად ქალაქ ტამპერეს რინგზე ჩატარდა. ტურნირის გამარჯვებულები არიან: ელექტროსტალელი ალექსანდრ მახმუტოვი (48 კგ), კოკჩეტავსკელი მერეკე ჯუსუპოვი (51), ჯამბულელი ნურლან კოპჟასაროვი (60), (ფინალში სძლია ტაშკენტელ არტურ გრიგორიანს), მაგადანელი ალექსანდრე ლებზიაკი (71), მოსკოველი სერგეი კობოზევი (81), რიგელი იური ვაულინი (91), და კიეველი სერგეი კრავჩენკო (+91).

ასპარეზობაზე მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა (57) და მოსკოველმა ანდრეი კისელოვმა (75), რომლებმაც ფინალში ბრძოლები შესაბამისად დათმეს ამერიკელ ოსკარ დე ლა ნოიასა და რეი ლუტონთან.

# კასპაროვი ამარცხებს... კომპიუტერს

**ნიუ-იორკის** ხელოვნების აკადემიის დარბაზში გაიმართა „ორი" მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრა — გარი კასპაროვის მეტოქე იყო ამავე ტიტულის მფლობელი საჭადრაკო ელექტრო-გამომთვლელ მანქანებს შორის—კომპიუტერი „დიპ სოტი". პირველ პარტიაში თეთრებით კომპიუტერი თამაშობდა. 52-ე სვლაზე გაიმარჯვა კასპაროვმა, მეორე პარტიაში კი ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონმა უფრო სწრაფად აიძულა „მეტოქე" დანებებოდა — 37-ე სვლაზე „დიპ სოტმა" საათი გააჩერა.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

# „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს"

1989 წლის 3 აგვისტოს „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილში „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს" კრიტიკული შენიშვნები იყო გამოთქმული თბილისის ოქტომბრის ქუჩა № 65"-ის კოოპერატიული კორპუსის მცხოვრებთა მოთხოვნის გამო, რომელიც ეხებოდა თექვსმეტსართულიანი სახლის I სართულზე ხიმინჯებს შუა სივრცის ამოშენებას, პურფუნთუშეულის მაღაზიის გასახსნელად.

გაცნობებთ, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რაიონში დაიწყო მაღლივ სართულიანი შენობების ქვევით დარჩენილი სივრცეების ამოშენება. სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების განსათავსებლად. იმის გამო, რომ ოქტომბრის ქ. № 67-ში ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით დაინგრა პურფუნთუშეულის მაღაზია ალმასკომმა გადაწყვიტა ოქტომბრის ქ. № 65-ის პირველ სართულზე აშენებულიყო მაღაზია, რასაც მობინადრეთა წინააღმდეგობა მოჰყვა და მათ ორჯერ მოშალეს ხიმინჯებს შუა ამოშენებული კედელი. შემოწმებით დადგინდა რომ ეს ადგილი პირადი საკუთრების ავტომანქანების სადგომად გამოიყენეს.

რაც შეეხება მოსახლეობისათვის დასვენების საშუალებას, კორპუსს აქვს შესანიშნავი სკვერი, მის პირდაპირ კი მდებარეობს კულტურისა და დასვენების პარკი.

ასევე გაცნობებთ, რომ რაიონში წელს მოეწყო 4 სკვერი და 3 სპორტული მოედანი 20100 კვ. მ. ფართის, რაზეც 305000 მანეთი დაიხარჯა.

ისიც უნდა ითქვას, რომ აღმასკომი სპორტული მოედნის მოწყობის წინააღმდეგი არ ყოფილა თუ ამის ინიციატივას გამოიჩენდა მოსახლეობა. რამდენიმეჯერ გადამოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორიაც გამოყენებული აქვთ პირადი საკუთრების ავტომანქანების სადგომად.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მოპირდაპირე მხარეს 112-ე სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი და მიმდებარედ საჭიდაო დარბაზი, რომლითაც სარგებლობა არ არის შეზღუდული.

**დ. ზუბიტაშვილი,**
**თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

ტელეფაქსი - მკითხველი

**ლუქსემბურგი.** გაიმართა კალათბურთში თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „დუდელანჟსა" და „კაუნასის „ჟალგირისს" შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა 112:80 (63:31). ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო კაუნასელი ვისოცკასი — 24 ქულა.

**მოსკოვი.** წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ცსკ ვმფ-მა დაამარცხა მოსკოვის „დინამო" 11:7, ლვოვის „დინამომ" კი მოსკოვის უნივერსიტეტი 9:6. დარჩა სუპერფინალური შეხვედრები. ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ სამხედრო მეზღვაურები და მოსკოვის „დინამო". ბრინჯაოს მედლებს კი ლვოვისა და უნივერსიტეტის წყალბურთელები გაითამაშებენ.

# საქართველოს ტელევიზიის პრიზი — სამტრედიელებს

მძლეოსნობა

**დასრულდა** ნორჩ მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის პრიზზე, რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. სხვადასხვა ეტაპის შეჯიბრებები, — ეს ალბათ ბევრმა იცის, — თბილისის „დინამოს" სტადიონზე საფეხბურთო მატჩების წინ და შესვენებაზე იმართებოდა. გუშინწინდელი, უკვე ფინალური ასპარეზობა კი „დინამოსა" და „ჟალგირისის" მატჩს დაემთხვა.



საქართველოს ტელევიზიის პრიზი მოიპოვა სამტრედიის რაიონის გუნდმა. ეს სამართლიანი შედეგი უნდა იყოს, როგორც უკვე ვწერდით, ამ რაიონში ყურადღება მიაქციეს მძლეოსნობის განვითარებას და შედეგიც, რომ იტყვიან, სახეზეა. მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმელი მძლეოსნები, მესამეზეა — გარდაბნის რაიონის ნაკრები.

გამარჯვებულთა გუნდში გამოდიოდნენ: მაკა იანტბელიძე, ნარგიზა ნემსაძე, ქეთინო ვასაძე, მაია ლეჟავა, მაია გაგუა, მაია მიქაძე, მალვინა კეკელიძე, ჯონი ჯანელიძე, პაატა ნიკოლეიშვილი, არტურ აკოფიანი, კახა დუნდუა, პავლე ბოლდვინოვი, ზაზა მესხი და ლევან კვარაცხელია. გუნდის მწვრთნელია თამაზ გოგიბერიძე. გვინდა დავასახელოთ აგრეთვე რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ელგუჯა კალაძე და მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე, კულაშის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე თ. ფხაკაძე.



უფრო დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში გიამბობთ,

**სურათებზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული სამტრედიის რაიონის გუნდი; ასპარეზობის ეპიზოდი.**

ალექსანდრე კოტორა ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე

(დასასრული)

ოთხი მედალი არც ჩვენ გვაწყენდა, მით უმეტეს გვქონდა ამისი რეალური საფუძველი. ოქროს მედალიც ორზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. წინასწარ გეტყვით, მეტიც იქნებოდა, მაგრამ გარკვეულმა მიზეზებმა შეგვიშალა ხელი. გია თენაძე, მაგალითად, პოტენციური ჩემპიონი იყო 71 კილოგრამ წონაში...

● **მაინც რამ შეუშალა ხელი?**

— იგი მეხუთე წრეში დამარცხდა ამერიკელ სვეინთან. ამ შეხვედრის წინ გიას სულ რვა წუთის შესვენება ჰქონდა. აშკარად ჩანდა, მომდევნო შეხვედრაზე როგორ დაქანცული გამოვიდა ტატამზე. მეტოქე კი მეტისმეტად ძლიერი ჰყავდა, — მსოფლიო ჩემპიონი. მიუხედავად ამისა სვეინმა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა. ამასაც ვიტყოდი, რომ ეს საკამათო გამარჯვება იყო.

● **სხვა ორთაბრძოლები?**

— იქ თენაძეს პრობლემა არ ჰქონია. აი, ჩემს ჩანაწერებს გიჩვენებთ: პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში — წმინდა გამარჯვებას მიაღწია. შემდეგ შეხვდა ევროპის წლევანდელ ჩემპიონს, ფინელ ინვინენს, მოიპოვა იუკო, ვაზარი, კოკა და ბოლოს, იპონი, — მოკლედ, ფინელი პირწმინდად დამარცხდა. მეოთხე წრეში გიამ ვაზარით გაიმარჯვა, ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში კი, ბოლოსდაბოლოს, დაამარცხა თავისი ძველისძველი მეტოქე, ფრანგი მარკ ალექსანდერი. ეს ძალიან საჭირო რევანში იყო, ბოლო სამ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში — მსოფლიო ჩემპიონატში, ოლიმპიადაზე და ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში თენაძეს სწორედ ალექსანდერმა გადაუღობა გზა ჩემპიონობისაკენ და ამიტომ გია ამ წარმატებით გახარებული იყო.

● **კობა კურტანიძეს თუ „უგეგმავდნენ“ ოქროს მედალს?**

— საერთოდ, წინასწარ არ ამბობენ, ვისგან რისი იმედი აქვთ. ეს ცუდად მოქმედებს სპორტსმენთა გამოსვლაზე. ნაკრების ხელმძღვანელებს ყველაზე უფრო ამირან ტოტიკაშვილისა სჯეროდათ, ჩვენ კი ვიცოდით, რომ კობაც იტყოდა თავის სიტყვას. თუმცა ჩვენი ვარაუდი რა შუაშია, თვითონ კობა არ ფარავდა, რომ ბელგრადში მხოლოდ გამარჯვებისთვის იყო ჩამოსული. შემდეგ სწორედ ასეთ განწყობით იჭიდავა.

● **კობა კურტანიძის მხოლოდ ფინალური შეხვედრა გადმოსცეს ტელევიზიით, მის სხვა მეტოქეებზე რას იტყვით?**

— ისევ ჩანაწერი ვნახოთ. კობამ ჯერ კანადელი ჯეკ კენდრიკი დაამარცხა, მოგვერდით დასცა ძირს. მისი შემდეგი მეტოქე იყო კორეელი ტაე კუო იუ. იმანაც ბოლომდე ვერ გაძლო, შებოჭვით დამარცხდა. შემდეგ — ისლანდიელი ფრედრიკსონი, რომელსაც კურტანიძემ აშკარა უპირატესობით აჯობა. მეოთხე წრეში ჰანტეით მოუგო ფრანგ შტერნი ფრანქეის...

● **ჰანტეით გამარჯვება ზოგჯერ მსაჯების გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული, კობამ სასწორზე ხომ არ დადო თავისი ბედი?**

— არა, ამის განზრახვა წაგების ტოლფასი იქნებოდა: ფრანგებს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაში დიდი გავლენა აქვთ და მათ სპორტსმენს ვერავინ დაჩაგრავს. კურტანიძე მთელი შეხვედრის მანძილზე აშკარად აქტიურობდა და ამის დაუნახაობა შეუძლებელი იყო. სწორედ ასევე წარმართა მან ბრძოლა ფინალში მონღოლ მოჭიდავესთან. გარეგნულად იქნებ კობას უპირატესობა გამოკვეთილად არ ჩანდა, მაგრამ თუ დააკვირდით, ამ შეხვედრაში ყველა ფანდი სწორედ მისი წამოწყებული იყო. სამივე მსაჯმაც ერთსულოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა. მოკლედ, კობა კურტანიძე დღესდღეობით უძლიერესია 95 კილოგრამ წონით კატეგორიაში და იგი ღირსეულად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

● **ამირან ტოტიკაშვილი ყველა ვარაუდით მართლაც აშკარა ფავორიტი უნდა ყოფილიყო ბელგრადში. რამდენად დამაჯერებელი იყო მისი გამარჯვება?**

— ამირანი განსაკუთრებული მონაცემების მოჭიდავეა. ხასიათით ლევან თედიაშვილს მაგონებს. ლევანს შეჯიბრებამდე ნახევარი საათით ადრე შეეძლო დაეძინა. ასეთივე მშვიდი და თავის ძალაში დარწმუნებულია ტოტიკაშვილიც, პირდაპირ რკინის ნერვები აქვს. წილისყრის შემდეგ ვკითხეთ: ამირან, როგორ არის საქმეო. ფინალამდე ცეკვა-ცეკვით, მივალ, მერე კი ვნახოთო. არ გეგონოთ ტრაბახობდა, მართლაც „ცეკვა-ცეკვით“ გაიარა ხუთი წრე, იმდენი ილეთი ჩაუტარა თურქ, გერმანელ, კუბელ, ავსტრიელ და სამხრეთკორეელ მეტოქეებს, ერთ შეჯიბრებას ეყოფოდა. როდის რა ფანდი უნდა გააკეთოს, ამას კაციშვილი ვერ ხვდება. ოღონდ მეხუთე წრეში, მსაჯებმა, ცოტა არ იყოს, შიში გვაჭამეს...

● **მსაჯებმა?..**

— მეხუთე შეხვედრა ამირანმა, როგორც ვთქვი, სამხრეთკორეელ ჰიუნ ლონთან ჩაატარა, ჯერ იუკო აართვა, მერე ვაზარი, და ბოლოს, შუაკაურით ეფექტურად დაანარცხა ძირს. მსაჯმა კი გამარჯვების ნიშნად ხელი... კორეელისკენ გაიშვირა, უნებლიედ შეცდა, იმდენად ელვისებური იყო ტოტიკაშვილის ილეთი.

ის ლონი მყისვე გაერკვა სიტუაციაში და ტატამიდან გავარდა, ამირანი გაოგნებული იდგა, მისი მეტოქე კი სასწრაფოდ სადღაც გადაკარგეს მწვრთნელებმა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მსაჯებმა ორივე გამოიძახეს ტატამზე და ამირან ტოტიკაშვილს კუთვნილი მოგება მიანიჭეს.

ძალზე ძლიერი მოჭიდავე ჩანდა ამირანის მეტოქე ფინალში იაპონელი ტოშინო ტოდაჰორი, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა, გაფრთხილებაც მიიღო და მერე ამირანმა იუკოც აართვა.

ყურადღება მიაქციეთ, ოცი წლის ამირან ტოტიკაშვილმა ისე დაამთავრა ტურნირი, რომ წაგება კი არა, ქულაც არ დაუკარგავს. იგი ჩემპიონატის საუკეთესო მონაწილის სახელსაც შეეცილებოდა ნებისმიერ ძიუდოისტს. დიდი გამარჯვებაც მან ღირსეულად მიიღო.

● **აკაკი კიბორძალიძეს დაგვრჩა...**

— ამ ჩემპიონატამდე კიბორძალიძის ყველაზე დიდი წარმატება ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი იყო, არადა იგი მეტის ღირსია. ახლა ჰქონდა კარგი შესაძლებლობა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა... საერთოდ, ვერცხლის მედალი დიდი ჯილდოა, მაგრამ ის უცაბედი შემთხვევა რომ არა, ვინ იცის, იქნებ კაკო ჩემპიონიც გამხდარიყო. ალბათ ტელევიზორში უკეთ დაინახეთ, როგორ აუცდა ტატამზე ფეხი. ის ადგილი სველი იყოო, — გვითხრა შემდეგ კიბორძალიძემ.

სხვა შეხვედრები კი დამაჯერებლად ჩაატარა, ევროპის წლევანდელი ჩემპიონიც დაამარცხა და შარშანდელიც ზედ მიაყოლა, — სწორედ ის ინგლისელი ზანგი გორდონი, ვისთანაც შარშან ფინალში წააგო. მისი მეტოქე ფინალში იაპონელი ოგავა, მართლაც ძალიან ძლიერი მოჭიდავეა, ბელგრადში ორი ოქროს მედალი მოიგო, მაგრამ მაინც დასანანია, რომ გადამწყვეტი შერკინება აკაკისთვის ასე უიღბლოდ დამთავრდა.

● **იციან თუ არა უცხოეთში რომ ტოტიკაშვილი, კურტანიძე, კიბორძალიძე, თენაძე ქართველი მოჭიდავეები არიან?**

— ვინც ძიუდო იცის, მისთვის ცნობილია. ფრანგები, იაპონელები, ჰოლანდიელები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლები კარგად გვიცნობენ. იქ, ბელგრადში, ბევრმა შემოგვთავაზა, თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ იქვე დავრჩებით და ერთობლივი ვარჯიშები ჩავატაროთო.

● **ბევრი სპეციალისტი იყო მივლინებული ბელგრადში საბჭოთა კავშირიდან?**

— სულ 30 კაცი, მათ შორის რვა საქართველოდან ვიყავით. ოფიციალური მწვრთნელი კი ხუთი იყო, ერთ-ერთი შოთა ხაბარელი გახლდათ.

● **რამდენად ერთსულოვანი იყო ასეთი კოლექტივი?**

— მართალი გითხრათ, ბევრ „ჩვენს“ სპეციალისტს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან რომ იყვნენ აშკარად შურდა ქართველთა წარმატებები და ამის დაფარვას არც ცდილობდნენ, არადა, გუნდური პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მხოლოდ ქართველი მოჭიდავეების წყალობით მოიპოვა, თანაც ისტორიაში პირველად. ბოლო დღეს ამბობდნენ კიდეც: ჩვენ მეორე ადგილზე ვიქნებითო. თუმცა ტოტიკაშვილი და კიბორძალიძე ფინალში იყვნენ და ერთ-ერთსაც რომ მოეგო (რაც მოხდა კიდეც), პირველი ადგილი განაღდებული გვქონდა. მსაჯებმა შეცდომით კორეელს რომ მისცეს გამარჯვება, სწორედ მაშინ შემოვარდა დარბაზში ჩვენი დელეგაციის ზოგიერთი წევრი და ყასიდად მოგვისამძიმრა, რაო, წააგო ტოტიკაშვილმაო. ეტყობა, ვერ ინელებენ, რომ ასე აშკარად ვჯობნით.

● **რა დააკლდებოდა ჩვენს სპორტსმენებს, რომ აქვე, საქართველოში, თქვენ თვითონ მოგემზადებინათ ისინი. საკავშირო ნაკრებს ხომ უკეთესი პირობები არა აქვს?**

— არაფერი დააკლდებოდა, პირიქით, ისეთი საკვები, სპორტსმენებს რომ სჭირდებათ, ახლა ყველგან დეფიციტია. მართალს გეუბნები, ჩვენ თვითონ ჩაგვქონდა პოდოლსკში ხილი, ბორჯომი და სხვა პროდუქტი ბიჭებს რომ არაფერი დაკლებოდათ. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას მარტო ჩვენებს კი არა, მთელ გუნდს ვუნაწილებდით. დარწმუნებული ვარ, ბელგრადში საქართველოს გუნდი ცალკე რომ წასულიყო, 4-6 ქულით მოვუგებდით იაპონელებს.

● **ძიუდოს სამშობლოს გუნდმა სამი ოქროს მედალი დაიმსახურა. ეტყობა, იქ საგანგებო ზომები მიიღეს ძველი დიდების დასაბრუნებლად.**

— იაპონელებს მართლაც დიდი ხანია მსოფლიო ჩემპიონატში ასეთი ძლიერი გუნდი არ გამოუყვანიათ. საქართველოშიც ძიუდო აღმავლობას განიცდის, ოღონდ ნურავინ იფიქრებს, რომ იაპონელებს საბოლოოდ ჩამოვართვით პირველობა. იაპონიაში ხშირად გვიწვევენ, ჩვენს ფალავნებთან ერთობლივ ვარჯიშს ატარებენ. ჰკვიანი ხალხია, ამით ისინი თავიანთ ძიუდოს ამდიდრებენ. მერედა რა პირობები აქვთ! იაპონია ძიუდოში ყოველთვის ფავორიტი იქნება.

● **ჩვენი მიზანიც ცხადია, ასეთივე უნდა იყოს...**

— რა თქმა უნდა. რეზერვიც კარგი გვყავს. მალე ევროპის გუნდური პირველობა უნდა გაიმართოს. ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში სამი ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავე, დავით ხახალეიშვილი, ვლადიმერ დგებუაძე და გურამ მოდებაძე ჩარიცხეს, მოკლედ, პერსპექტიული ახალგაზრდობა გვყავს.

ცალკე, მინდა გითხრათ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელზე, შოთა ხაბარელზე. ჩვენში ძალზე იშვიათად ყოფილა, რომ კარგი სპორტსმენი შემდეგში ასევე შესანიშნავი მწვრთნელი გამხდარიყო. შოთამ კი ეს გააკეთა. იგი მუდამ გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობითა და მონდომებით, მწვრთნელის პროფესიასაც კარგად აუღო ალღო, შედეგები კი, რომ იტყვიან სახეზე გვაქვს.

ესაუბრა
**გიორგი პავლიაშვილი.**



**ამ** კვირას დოსააფის რუსთავის ბაზაზე ჩატარდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კარტინგში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მეკარტინგეები.

პირველად სტარტი აიღეს „ა“ კლასის მეკარტინგეებმა. შესანიშნავად იასპარეზა ესტონელმა ურმას უუსმეემა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო მოსკოველი ალექსეი ვასილევი, მესამე — კურსკელი ვადიმ კალაჩევი.

„ბ“ კლასში წარმატება წილად ხვდა მოსკოველ სპორტის ოსტატ იან შელენგოვსკის. მეორე ადგილი მოიპოვა საქართველოს წარმომადგენელმა სერგეი სოკოლოვმა, მესამე მოსკოველმა ნიკოლოზ იგნატენკომ.

უაღრესად საინტერესოდ წარიმართა ასპარეზობა საერთაშორისო „ც“ კლასში. აქ სტარტი აიღო ორმოცამდე ძლიერმა მეკარტინგემ. ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ესტონელმა სპორტის ოსტატმა პეეპ იურისაარსმა. მეორე იყო პოლტაველი დიმიტრი კოვინკო, მესამე — კურსკელი გრიგოლ კომაროვი.

საბჭოთა კავშირის თასი მოიგეს მოსკოველებმა. გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი მოიპოვა.

**ხ. ვართანიანცი.**
ავტორის ფოტო.

## ქუთაისელი ბადმინტონისტები პოლონეთში

**პოლონეთის** ქალაქ სუვალკიში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბადმინტონში, რომელშიც ვარშავის, ბელოსტოკის, სუვალკის გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ ლიტვისა და ქუთაისის გუნდები.

ასპარეზობაზე კარგად გამოვიდნენ ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ელისო მარგველაშვილი და ფატი შალამბერიძე, მათ ერთეულთა თანრიგში ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ. „ქუთაისურ“ ფინალში უფრო გამოცდილმა ელისომ იმარჯვა. წყვილთა თანრიგში კი ფატიმ და ელისომ ყველა მეტოქე დაამარცხეს.

ვაჟთა შორის წყვილთა თანრიგში გოგი ხაზარაძე (პირველი საშუალო სკოლა) და ზაზა წულაძე (მე-7 საშუალო სკოლა) მეორე ადგილზე გავიდნენ.

ქუთაისელმა გოგოებმა უმცროს ასაკშიც ისახელეს თავი. ერთეულთა თანრიგში ინგა ხურციძემ (21-ე საშუალო სკოლა) და სოფიკო სალდაძემ (მე-4 საშუალო სკოლა) შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ქუთაისელთათვის (მწვრთნელი ო. აბზიანიძე) პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო, მიუხედავად ამისა, მათ, როგორც ხედავთ, არცთუ ურიგო შედეგი აჩვენეს. მათ ახლა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი ელით შინ, რომელიც 3-9 დეკემბერს ჩატარდება. მასში მასპინძლებთან ერთად გამოვლენ პოლონეთის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთისა და საქართველოს გუნდები.

**თამაზ კოლხიდელი,**
„ლელოს“ საკ. კორ.

სსრ კავშირის პირველობა ბალახის ჰოკეიში ● I ლიგა

## ოცნების გახანგრძლივება... იძულებით

**დამთავრდა** სსრ კავშირის პირველობა ბალახის ჰოკეიში პირველი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. ქუთაისის „ლოკომოტივმა“ საბოლოოდ ბრინჯაოს მცირე მედლები მოიპოვა. ჩვენმა კორესპონდენტმა გუნდის მთავარ მწვრთნელს **თემურ არჩაიას** თხოვა კომენტარი ჩემპიონატის ბოლო მატჩებისა და საერთოდ პირველობის შესახებ.

— პირველი წრის შემდეგ მეხუთე ადგილზე ვიყავით, — თქვა ლ. არჩაიამ, — მაგრამ ლიდერს სულ სამი ქულით ჩამოვრჩებოდით და მომდევნო წრეს იმედით შევყურებდით.

მეორე წრის პირველ მატჩში მეტოქეთა მოედნებზე მხოლოდ ორი ქულა ავიღეთ და ლიდერთა ჯგუფს საგრძნობლად დავცილდით. სამაგიეროდ, შინ წარმატებით ვითამაშეთ, ოთხი მატჩი მოვიგეთ, შემდეგ ორიც — სტუმრად... უკანასკნელი ტურის წინ 57 ქულით ვლიდერობდით, ჩერნოვცის „უნივერსიტეტსა“ და სამარყანდის „სპარტაკს“ 53-53 ქულა ჰქონდათ. პირველი ადგილის მოსაპოვებლად ერთადერთი ქულა გვჭირდებოდა, რომელიც სამარყანდში, ორ შეხვედრაში უნდა აგვეღო. ჩერნოვცელები კი ერევანში თამაშობდნენ. ერევნელებს მთელი პირველობის მანძილზე შინ მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდათ. და აი, მოხდა „სასწაული“, ასეთმა გუნდმა „უნივერსიტეტთან“ ორივე შეხვედრა წააგო, თანაც ორივე დიდი ანგარიშით. ამ თამაშებს ესწრაბოდა ჩვენი მწვრთნელი ჯ. ბაზაძე, რომელმაც გვითხრა, რომ ერევნელები მეტოქეს სამარცხვინოდ დანებდნენო. ერთი „სასწაული“ უშუალოდ ჩვენც შეგვეხო: სამარყანდში ჩვენს შეხვედრებზე ჩერნოვცელ მსაჯთა ბრიგადა დაინიშნა(!). კომისრებიც არ გამოცხადდნენ და ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების ნაცვლად მოედანზე უსინდისო მსაჯობის დემონსტრაცია ჩატარდა. იქ რაც მოხდა, ყველაფრის აღწერა შეუძლებელია: იყო ჩვენი მოთამაშეების უმიზეზოდ მოედნიდან გაძევება, უსამართლო პენალტები ჩვენს კარში (ორი პენალტი ოთხ წუთში) და სხვა. მოკლედ, წაგვაგებინეს შეხვედრა — 1:4.

მეორე მატჩის პირველი ტაიმი უშედეგო აღმოჩნდა. შესვენების შემდეგ მეტოქემ თამაშგარე მდგომარეობიდან ერთადერთი გოლი გაგვიტანა და ეს თამაშიც წავაგეთ, ისიც უნდა გითხრათ, რომ მატჩი იმსაჯეს არა რიგითმა მსაჯებმა, არამედ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრებმა შიპაკოვმა და მიხალინამ — ჩერნოვცელებმა, რომლებმაც ჩვენი აბუჩად აგდებით, თავიანთი ქალაქის გუნდის წარმატება განაპირობეს.

ასეთ დროს ცრემლის მოძალებას ვაჟკაციც ვერ უძლებს, რამდენიმე ჩვენი მოთამაშე ტიროდა. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, სეზონის მანძილზე თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ უსამართლობას ველარ მოვერიეთ და უმაღლესი ლიგის საგზურის იმედიც გაისისათვის გადავდეთ.

პირველობაზე „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდნენ: მეკარეები — ჯოჯუა, როხვაძე და ნარსია. წინა ხაზის მოთამაშეები — კოხრეიძე (გაიტანა 7 გოლი), ფულარიანი (11), კუდუხოვი (3), მაჩალაძე, ჭიკაძე (11), ძნელაძე (4), ჯანგავაძე (5), მამისეიშვილი (17), ზ. ჩარკვიანი (6), ჯავახაძე (1), რადკო, გოგავა, ვარშანიძე, თორდია (1), გ. ჩარკვიანი (1), ოყრეშიძე, წიქარიშვილი.

**თამაზ ხარაბაძე.**
„ლელოს“ საკ. კორ.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**სსრ კავშირის** 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოს[illegible] 29-ე ტურის შეხვედრები საყოველთაო ინტერესს იწვევდა. ეს ტური მართლაც, დიდმნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო. სწორედ აქ ამ დღეს შეიძლებოდა გამოვლენილიყო 52-ე ჩემპიონატის სამივე პრიზიორი და ის ორი აუტსაიდერიც, რომლებმაც გაისად I ლიგაში უნდა გადაინაცვლონ.

და სწორედ ამ ტურმა გადაწყვიტა ეს ძირითადი, აქტუალური საკითხები, ბოლო, 30-ე ტურის წინ ამ უმთავრეს განლაგებას სატურნირო ცხრილში ვეღარაფერი ვერ შეცვლის!

**ოქროს მედლები** — „სპარტაკი" (მოსკოვი),

**ვერცხლის მედლები** — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი),

**ბრინჯაოს მედლები** — „დინამო" (კიევი),

**I ლიგაში გადადიან:**

„ლოკომოტივი" (მოსკოვი),
„ზენიტი" (ლენინგრადი).

**გაურკვეველი** დარჩა მხოლოდ ის, თუ გაისად ვინ მიიღებს მონაწილეობას უეფა-ს ტურნირზე, სადაც სსრ კავშირს 3 გუნდი გამოჰყავს. აქ რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს, მათს გარჩევას ახლა არ შევუდგებით, მით უმეტეს, რომ ჩვენს გუნდს — თბილისის „დინამოს", სამწუხაროდ, ეს საქმე სრულიადაც არ ეხება.

23 ოქტომბრის მატჩებიდან გაზეთის დაბეჭდვის დროისთვის ვერ მივიღეთ ლენინგრადის „ზენიტისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" შეხვედრის შედეგი. გაიმარჯვეს დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

ახლა თბილისში ჩატარებული იმ მატჩის შესახებ, რომელმაც ჩვენს გუნდს უკვე შეუნარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში.

**„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 3:1 (1:0).**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 23 ოქტომბერი.**

**„დინამო":** ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე (ჩიქოვანი, 70 წ.), თედეევი, ჯიშკარიანი, რევიშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჰარავა, გოგიჩაიშვილი (დარასელია, 75).

**„ჟალგირისი":** კონციავიჩუსი, ფრიდრიკასი, სუკრისტოვი, მაჟეიკისი, უეკასი, ტაუტკუსი, კვიტკაუსკასი, ივანაუსკასი, იაკუბაუსკასი, შუგუდა (რასიუკასი, 75), ნარბეკოვასი (ზდანჩუსი, 13).

მსაჯი ვ. პიანიხი (დონეცკი).

**თბილისის** „დინამოს" თამაშებს ჯერ კიდევ ცოტა მაყურებელი ესწრება, ჩვენს სტადიონზე ამჯერადაც მრავლად იყო ცარიელი ადგილები, თუმცა მატჩი „ჟალგირისთან" გარკვეულ ინტერესს იწვევდა. საჭირო იყო მისი მოგება საიმისოდ, რომ დინამოელებს წლევანდელ სეზონში მიეღწიათ მთავარი ამოცანისთვის და მტკიცე გარანტია შეექმნათ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. ვეთანხმებით ყველა იმ გულშემატკივარს, რომელიც ღრმად დარწმუნებულია, რომ თვით ეს ამოცანა თავისთავად ყოვლად შეუფერებელი და აბსურდულია თბილისის „დინამოსთვის", რადგან კონკრეტულად ამგვარი მიზნის შესასრულებლად წლიდან წლამდე ბრძოლამ შესაძლოა ჩვენი გუნდი საერთოდ დააქვეითოს დაბალ დონემდე და საბოლოოდ თვალსა და ხელს შუა გამოაცალოს ის მაღალი, ღირსეული ამოცანები, რომლებიც მას ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ამოძრავებდა და ასულდგმულებდა. არ შეიძლება ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა ხელი შეუწყოს ამგვარ დაბალი მიზნების დამკვიდრებას და მერე, საერთოდ, უმაღლეს ლიგაში დარჩენას დასჯერდეს და ამით დაკმაყოფილდეს.

მაგრამ სადღეისოდ შექმნილი კონიუქტურული ვითარება, გინდა-არგინდა, ისეთი შეიქმნა, რომ სხვა გამოსავალი თბილისის „დინამოს" არ ჰქონდა და რაც უფრო ადრე გაინაღდებდა იგი ადგილს უძლიერესთა შორის, მით უფრო უმჯობესი იქნებოდა.

ამ მიზანს გუნდმა მიაღწია და ახლა დარჩენილ შეხვედრას კიევის „დინამოსთან" არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვს. კიეველები წინ ვეღარ გადაინაცვლებენ, თბილისელებსაც აღარა აქვთ გათამაშების ცხრილში მნიშვნელოვანი დაწინაურების საშუალება და 27 ოქტომბრის მატჩიც კიევში, ალბათ, „უშფოთველად" წარიმართება.

„ჟალგირისთან" მატჩში თბილისის დინამოელებმა სრულად გამოავლინეს ის თვისებები, რომელთა ნაკლებობასაც მათ სისტემატურად ვსაყვედურობთ ბოლო წლებში. გუნდმა ითამაშა მაქსიმალური მონდომებით, ტემპიანად, გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვით, აზარტით, სწორედ ამ აზარტმა, სისწრაფემ და გამარჯვების სულისკვეთებამ აიძულა ჩვენი ფეხბურთელები ემოქმედათ ისე, რომ ვილნიუსელებმა ვერც თამაშის დასაწყისში, ვერც მერე, როცა მათი დამარცხება თანდათან გარდაუვალ ფორმებს ღებულობდა, ვერ შეძლეს დაგეგმილი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, კომბინაციური თამაშის გაშლა. საამისო ცდა „ჟალგირისს" პირველივე წუთებიდან ჰქონდა, თბილისელთა განუწყვეტელი იერიშების დაცხრობას ისინი ცდილობდნენ ბურთის ნელი გათამაშებით, აუჩქარებელი მანევრებით. მთელი გუნდი ლამობდა არ დაერღვია საკუთარი თამაშის წლობით გამომუშავებული ტაქტიკური სქემა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, დინამოელთა სწრაფი იერიშების შედეგად მათი საერთო ურთიერთმოქმედება თანდათან ირღვეოდა და საბოლოოდ მატჩის ტაქტიკური ნახაზი იმაში გამოიხატა, რომ დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ, ვილნიუსელები კი განუწყვეტლივ თავს იცავდნენ და ამ დაცვით მანევრებში სულ უფრო ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. ამის გამო მასპინძელთა კართან იშვიათად თუ იქმნებოდა სახიფათო სიტუაციები შუა მინდორზე თამაშის სადავეები მტკიცედ ეპყრათ ხელთ თბილისელებს, ხოლო რაც შეეხება სტუმართა მცველებსა და მეკარეს, აქ დაშვებული ლაფსუსები კარის აღების უშუალო ხიფათს ქმნიდა. ერთ-ერთი ასეთი სახიფათო მომენტი მე-13 წუთზე შეიქმნა, როცა შუა მინდვრიდან გათამაშებული სწრაფი კომბინაციის შემდეგ საჯარიმო მოედანზე გავიდა რევიშვილი. დინამოელმა კარგად გამოიყენა ეს მომენტი, ძლიერად დაარტყა და კონციავიჩუსმა ვერ შეძლო კარის ხსნა. პირველი ნახევარი ამ ანგარიშით დამთავრდა — 1:0.

მეორე ტაიმი პირველის ტიპიური გამეორება იყო. აქაც ყველაფერი დასაწყისში გადაწყდა, ჯერ 51-ე წუთზე თედეევმა საკმაოდ შორი მანძილიდან აიღო „ჟალგირისის" კარი, 55-ე წუთზე კი ქეცბაიამ კიდევ ერთხელ აიძულა ვილნიუსელთა მეკარე ბადიდან გამოეტანა ბურთი.

3:0 — ეს უკვე ეჭვმიუტანელი გამარჯვება იყო, თავისუფლად ამოისუნთქა გუნდმა, შვებით ამოისუნთქა მაყურებელმაც და დარჩენილ დროში თბილისის „დინამომ" ბოლომდე მიიყვანა მეტად საჭირო გამარჯვების საქმე, თუმცა, ერთი უსიამოვნო მომენტი მაინც განვიცადეთ: 85-ე წუთზე ივანაუსკასის ინდივიდუალური გარღვევა ერთადერთი საპასუხო გოლით დამთავრდა.



მომენტი განვლილი მატჩიდან — „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჩემპიონატის მეტად დიდმნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, უმაღლეს ლიგაში დარჩენის პრობლემა თბილისის „დინამომ" წლეულსაც წარმატებით გადაწყვიტა, მაგრამ ჩვენი გუნდის წინაშე ჯერ კიდევ იმდენი ურთულესი პრობლემაა გადასაჭრელი, რომ ჩვენი გუნდის მომავლის საკითხი კვლავ და კვლავ საქართველოს მთელი სპორტული საზოგადოებრიობის სერიოზული მსჯელობის საგნად რჩება. საჭიროა ახალი პერსპექტიული ფეხბურთელების გამონახვა, გუნდის მაღალ დონეზე შეთამაშება, საერთო კლასის, ტექნიკისა და ტაქტიკის გაუმჯობესება, საბრძოლო თვისებების გამომუშავება და მრავალი, მრავალი სხვა. ყველა ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა საჭიროა ამთავითვე, ახლავე, თბილისის „დინამოს" ფრიად გახანგრძლივებული კრიზისი ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას. ის ადგილი, რომელიც ბოლო წლებში „დასჩემდა" საქართველოს პირველ გუნდს, მისი შესაფერისი აშკარად არ არის, უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა უპირველეს ყოვლისა თვით დინამოელთა, მთელი კოლექტივის საზრუნავია.

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 29 | 17 | 10 | 2 | 48-17 | 44 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 29 | 18 | 5 | 6 | 45-25 | 41 |
| „დინამო" (კიევი) | 29 | 13 | 11 | 5 | 42-25 | 37 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 29 | 13 | 8 | 8 | 37-28 | 34 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 29 | 11 | 12 | 6 | 38-24 | 34 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 29 | 10 | 9 | 10 | 37-39 | 29 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 29 | 10 | 9 | 10 | 30-33 | 29 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 29 | 8 | 12 | 9 | 30-26 | 28 |
| „დინამო" (მინსკი) | 29 | 10 | 7 | 12 | 33-33 | 27 |
| „როტორი" (ვოლგოგრადი) | 29 | 9 | 9 | 11 | 28-34 | 27 |
| „არარატი" (ერევანი) | 29 | 8 | 8 | 13 | 25-39 | 24 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 6 | 12 .11 | | 25-30 | 24 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 29 | 9 | 5 | 15 | 24-35 | 23 |
| „პამირი" (დუშანბე) | 29 | 7 | 9 | 13 | 20-38 | 23 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 29 | 6 | 9 | 14 | 19-32 | 21 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 29 | 5 | 9 | 15 | 22-45 | 19 |

მკითხველთა წერილების მიმოხილვა

# საზოგადოებრივი აზრის სარკეში

**თბილისის „დინამო" ყველა დროს და ყველა ვითარებაში, გულშემატკივართა უპირველესი ზრუნვის ობიექტად რჩება მუდამ და, რაა გასაკვირი, რომ ისინი კატეგორიულად მოითხოვენ პასუხს მრავალ კითხვაზე, მრავალ პრობლემაზე, რომელიც დღესაც დგას გუნდის წინაშე.**

## თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ირგვლივ

**ჩვენს** ხელთაა საქართველოს პროფსაბჭოს მუშაკთა კოლექტიური წერილი (ავტორები ზ. ბახტურიძე, თ. მახარაშვილი, გ. სტეფანოვი, გ. ხმალაძე და სხვები), რომლებიც გუნდის ხელმძღვანელობას შეახსენებენ მათს დაპირებებს და იქვე ასკვნიან: დაპირების შესრულების ნაცვლად სრული ფიასკო? ეს უკვე მეტისმეტია! ამავე საკითხს ეხება თბილისელი მეცნიერ-თანამშრომლის რობერტ კეკელიძის გააზრებული წერილი, რომელსაც ჩვენი გაზეთი სეზონის დამთავრების შემდეგ, შესაძლოა, კვლავ მიუბრუნდეს.

„ვოლგოგრადის „როტორთან" იმედის გაცრუებას არ მოველოდით, გამოდის, რომ მართლაც ცუდად გვქონია საქმე, საჯაროობა გულშემატკივართა მხრივ კვლავ შეზღუდულია. იქნებ, ესეც ათამამებს გუნდს". — გვწერს გ. ბალავაძე რუსთავიდან. მან მეორე წერილიც გამოგვიგზავნა, სადაც მოითხოვს რუსულ პრესაში პასუხი გაეცეს სპორტულ ჟურნალისტს ს. შაპოშნიკოვს, რომელმაც „ფუტბოლ-ჰოკეის" 17 სექტემბრის ნომერში აუგად მოიხსენია ლანჩხუთის „გურია" და ქუთაისის „ტორპედო".

„არ ვიცი დაბეჭდავთ თუ არა ამ წერილს, მაგრამ ვწერ, რათა ცოტათი მაინც დავიოკო გული სიბრაზისგან... გუნდი აგებს, ხალხი ნერვიულობს და აგერ, მინდორზე, ზოგიერთი ფეხბურთელი დასეირნობს, გეგონება სხვის ვალს იხდის. ამის მერე ვირწმუნოთ, ვითომ გუნდში დისციპლინაა?.. (ა. მიმინოშვილი, ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი). იგივე აზრისაა თბილისელი ნუგზარ მაჭარაშვილი.

„მინდა ვუპასუხო ჯემალ ქაჯაიას, რომელმაც თქვენს გაზეთში (№ 167) დაწერა: „საბჭოთა კავშირში ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში, ჩვენმა ფეხბურთელებმა კი, პირიქით, დაივიწყეს". ჩემი აზრით, ბატონმა ჯემალმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა თბილისის დინამოელებს". (ანიკო გოგიაშვილი, სოფ. ენაგეთი, თეთრი წყარო).

„ალბათ, დაბადებიდან ვარ თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი, მივმართავ გუნდის ახლანდელ ხელმძღვანელებს, რომლებმაც, როგორც ფეხბურთელებმა, წინა წლებში ბევრი გააკეთეს და ბევრჯერ გაგვახარეს. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენზე არასასიამოვნო რამ მეთქვა, მაგრამ ძალიან ბევრი ფაქტები დაგროვდა". (ტარიელ ეზიაშვილი, საჩხერე).

„35 წელია გაფაციცებით ვადევნებ თვალს ჩვენი საყვარელი გუნდის თამაშს. ერთ დროს მეც ვთამაშობდი „ნორჩ დინამოელში", რომელსაც სათავეში ედგა ყველასთვის პატივსაცემი გრიგოლ გაგუა. მით უფრო ძლიერ განვიცდი „დინამოს" ახლანდელ ჩავარდნას. დინამოელებმა მაგალითი უნდა აიღონ ქუთაისელი მორაგბეებისგან. მონდომება და პატრიოტული სულისკვეთება ყველაფერს შეაძლებინებს გუნდს". (გურამ ცერცვაძე, თბილისი).

„რა ღმერთი გვიწყრება, მთელი საქართველო ფეხბურთს თამაშობს, კარგი გუნდი კი არ გვყავს". (ნაირა იორამაშვილი, თბილისი).

„რატომ ვწერ ამ წერილს, არც ვიცი. ტკივილი და აღშფოთება აღარ ეტევა გულში. იქნებ, ინტერვიუ ჩამოართვათ მანუჩარ მაჩაიძეს, რომ მისი სიტყვა გულზე მალამოდ მოგვედოს". (გიორგი სუჯაშვილი, ყაზბეგი).

დავით ყიფიანს ღია წერილით მიმართავს მიხეილ მახარაძე — ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მოვიტანთ ამონაწერს: „არაერთხელ დადგა საკითხი თბილისის „დინამოსთვის" სახელი შეგვეცვალა. იყვნენ ამ წინადადების მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. დუმდა მხოლოდ თქვენი კოლექტივი, თქვენ კი, ბატონო დავით, ვინაც ფეხბურთში ინტელიგენტის სახელი დაიმკვიდრეთ, ეს საკითხი კოლექტივში განხილვის ღირსადაც არ აქციეთ და არ გამოთქვით ამაზე საკუთარი აზრი. რას მივაწეროთ ეს? განა თქვენთვის საეჭვო და სადავოა ის, რომ ქართულ გუნდს ქართული სახელი უნდა ერქვას?"

„ვიყავი, ვარ და ვიქნები „დინამოს" ერთგული გულშემატკივარი და თუ რამეს შევძლებ, მუდამ მის გვერდით ვიქნები ჭირსა თუ ლხინში" (გიორგი კვარაცხელია, გაგრა).

„ვაი, სირცხვილო, ვაი „დინამო"! — ასეთი სათაურით გამოაგზავნა წერილი რედაქციაში „დინამოს" თამაშით განაწყენებულმა თელაველმა ი. ნაცვლიშვილმა.

„ნუთუ ისე დავჩაჩანაკდით, რომ შინაც ვაგებთ მატჩებს ყველაზე სუსტ გუნდებთან? ბავშვებს, ბავშვებს მივხედოთ და ნამდვილ სპორტსმენებად გავზარდოთ" (ჯემალ დიასამიძე, ლანჩხუთი).

მკითხველთა და ჭეშმარიტ გულშემატკივართა აღშფოთებას იწვევს, როცა ზოგიერთი მაყურებელი თავშეუკავებლად იქცევა. „ნუ გვარცხვენთ!" — ასე მოკლედ და ლაკონურად გამოხატავს ყველას სათქმელს თბილისელი ი. კიზირია. ასეთივე შინაარსისაა ჭიათურელ ზ. ვაჭარიძის წერილი. საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში მცხოვრები ნესტან კერატიშვილი გვწერს: „გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებსაც და ხელმძღვანელებსაც, რომ არ დაზოგონ ძალ-ღონე და პირნათლად მოიხადონ ვალი. მე მჯერა გუნდის ხვალინდელი დღის".

არაობიექტური მსაჯობის კონკრეტულ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას თბილისელი აკაკი მათიაშვილი, რომელმაც ვრცელი, საყურადღებო წერილი გამოგზავნა რედაქციაში.

თავიანთი მოსაზრებები გამოგვიგზავნეს, აგრეთვე პაატა გეგელაშვილმა (თბილისი), ბიძინა სულაბერიძემ (თბილისი), ზურაბ ქურდაძემ (რუსთავი), ომარ ჰუმბურიძემ (წყალტუბო), გიორგი მეგრელიშვილმა (თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი), გულივერ ჩოკორაიამ (ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ნაკიანი), ლ. ამყოლაძემ (ქუთაისი), პანტელეიმონ თენეიშვილმა (წყალტუბო), კ. ძინძიბაძემ (რუსთავი) და სხვ.

# სირცხვილია!..

**თბილისის** „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩის შესვენებისას მოეწყო მძლეოსანთა შეჯიბრება ესტაფეტებში. ამ შეჯიბრებას კომენტარს უკეთებდა დიქტორი, რომლის არაკვალიფიციურობამ, ქართულის ელემენტარულმა უცოდინარობამ და ენობრივმა ლაფსუსებმა მაყურებელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დიქტორი ისეთ უვიც კომენტარს უკეთებდა შეჯიბრებას, ისეთი „დასკვნები" გამოჰქონდა, რომ ტრიბუნებზე მსხდომთა შორის ჯერ სიცილი გამოიწვია, მაგრამ შემდეგ ეს კომიკური განწყობილება საყოველთაო აღშფოთებით შეიცვალა.

მართლაც, განა სირცხვილი არაა, რომ საქართველოს დედაქალაქის უმთავრეს სტადიონზე, ათეულ ათასობით გულშემატკივართა წინაშე მიკროფონთან ყოვლად უცოდინარ არაპროფესიონალ ადამიანს სვამენ და მისი „მხატვრული შემოქმედებით" ართობენ აუდიტორიას? ამგვარ რამეს ხომ ვერ წარმოიდგენთ, ვთქვათ, მოსკოვის ან კიევის სტადიონებზე რომ მოხდეს? ვფიქრობთ, არც საქართველოს პროვინციაში შეიძლება მსგავს ამბავს ჰქონდეს ადგილი. ჩვენი სანაქებო სტადიონის დირექცია სერიოზულად უნდა მოეკიდოს მაყურებელთა ინფორმირების საქმეს და უვიც, შემთხვევით კაცს არ ანდოს მიკროფონი.

**ოთარ კეთილაძე,**
მაყურებელი.



ხსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# შკან დასახვევი გზა მოჭრილია

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მინსკი.** ადგილობრივმა რტი-მ მეორე შეხვედრაც მოუგო თბილისის „დინამოს“ — 88:69 (40:31). საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარი, ფაქტიურად, დამთავრდა. და როგორც სატურნირო ცხრილიდან ჩანს, თბილისელთა მდგომარეობა ძალზე კრიტიკულია. ერთად ერთი მოგებული მატჩი და ცხრა დამარცხება, ასეთი უარყოფითი ბალანსი ჩვენს გუნდს არასდროს არ ჰქონია. რა დასამალია და პერსპექტივა მძიმეა. არ არის გამორიცხული, რომ იგი ტრაგიკულად დამთავრდეს. ამიტომ დინამოელებს ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდებათ, რათა ასე თუ ისე გადაწყდეს მიმდინარე სეზონის მთავარი ამოცანა — უმაღლეს ლიგაში დარჩენა. ამ მთავარ მიზანს უნდა დავუქვემდებაროთ დღეს მთელი ჩვენი რესპუბლიკის საკალათბურთო ცხოვრება.

გთავაზობთ სხვა მატჩების ტექნიკურ შედეგებს:

„კალევი“ (ტალინი) — ასკ (ალმა-ათა) 86-85 (38:48) და 93:102 (42:50).

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 86:91 (34:40).

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 68:80 (40:45).

„ბუდიველნიკი“ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 87:83 (40:34), (69:69).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 10 | 1 | 21 |
| „კალევი“ (ტალ.) | 12 | 8 | 4 | 20 |
| ასკ (ალმა-ათა) | 12 | 8 | 4 | 20 |
| „დინამო“ (მ.) | 12 | 8 | 4 | 20 |
| ვეფ (რიგა) | 12 | 7 | 5 | 19 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 12 | 7 | 5 | 19 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 12 | 6 | 6 | 18 |
| რტი (მინსკი) | 12 | 6 | 6 | 18 |
| „შახტ.“ (დონ.) | 12 | 4 | 8 | 16 |
| „სპარტ.“ (ლენ). | 12 | 4 | 8 | 16 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 12 | 2 | 10 | 14 |
| „დინამო“ (თბ.) | 11 | 1 | 10 | 12 |

საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:3, „მზიური“, (გალი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 5:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 4:3, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2, „სულორი“ (ვანი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 2:0, „მადრევანი“ (წყალტუბო) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:3.

ფეხბურთი

# მინსკის „დინამო“ სამეურნეო ანგარიშზე

**სრულ** სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბელორუსიის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი პროფესიული საფეხბურთო კლუბის დებულება, მაგრამ მინსკის „დინამოს“ ყოველწლიური გასავალი 900 ათასი მანეთია, შემოსავალი კი ხარჯებს ვერ ფარავს, ამიტომაც გუნდს 500 ათასი მანეთის სახელმწიფო დოტაცია აქვს. ამ ვითარებაში მხოლოდ აზრის გამოცვლა სარგებელს ვერ მოიტანს, მინსკის „დინამოს“ ესაჭიროება სოლიდური ფინანსური საქმიანობის გაშლა, გადამჭრელი ღონისძიებანი. კერძოდ, კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ იტალიის „იუვენტუსში“ ს. ალეინიკოვის გადასვლის შემდეგ მინსკის „დინამო“ მილიონ დოლარს მიიღებს.

ფეხბურთი

**გაიმართა** უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**საფრანგეთი**

**მე-14 ტური.** „ოსერი“ — „ბორდო“ 1:1, „მარსელი“ — „კანი“ 1:1, „მეცი“ — „სოშო“ 2:0, „ტულუზა“ — „კაენი“ 2:1, „ნანტი“ — „ბრესტი“ 1:0, „მულუზი“ — „სენ-ჟერმენი“ 1:0, „ლიონი“ — „მონაკო“ 0:2, „მონპელიე“ — „ტულონი“ 3:0, „ნიცა“ — „სენტ ეტიენი“ 1:3, „რესინგი“ — „ლილი“ 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „ბორდო“ | 14 | 21 |
| „მარსელი“ | 14 | 19 |
| „ტულუზა“ | 14 | 18 |

**ჰოლანდია**

**მე-10 ტური.** „გრონინგენი“ — „ტილბურგი“ 1:1, „ჰარლემი“ — „როდა“ 0:0, „ფეიენოორდი“ — „ნიემიგენი“ 2:1, „სიტარდი“ — „აიაქსი“ 0:0, „უტრეჰტი“ — „ჰააგა“ 2:1, „ვოლენდამი“ — „სპარტა“ 2:0, „ვალვიკი“ — „ტვენტე“ 0:0, „არნჰეიმი“ — „დენ ბოში“ 0:0, „ეინდჰოვენი“ — „მაასტრიჰტი“ 8:1.

| | | |
|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 9 | 14 |
| „როდა“ | 10 | 14 |
| „ვალვიკი“ | 10 | 13 |

**პორტუგალია**

**მე-5 ტური.** „ბრაგა“ — „ბეირა“ 2:0, „უნიაო“ — „ამადორა“ 1:2, „ბენფიკა“ — „პენაფიელი“ 7:0, „ბოავიშტა“ — „ბელენენსეში“ 4:2, „სპორტინგი“ — „პორტო“ 1:0, „ტირსენშე“ — „სეტუბალი“ 2:1, „ფიერენზე“ — „გიმარაეში“ 0:0, „შავიში“ — „პორტიმონენსე“ 4:2, „მარიტიმო“ — „ნასიონალი“ 2:2.

| | | |
|---|---|---|
| „სპორტინგი“ | 5 | 9 |
| „პორტო“ | 5 | 8 |
| „ბენფიკა“ | 4 | 7 |

**გდრ**

**მე-7 ტური.** „დინამო“ (ბერლინი) — „კარლ ცეისი“ 2:0, „ჰანზა“ — „დინამო“ (დრეზდენი) 0:0, „ვისმუტი“ — „მაგდებურგი“ 0:0, „შტალი“ — „კარლ-მარქს-შტადტი“ 0:0, „ლოკომოტივი“ — „ჰემი“ 1:0, „ფორტშრიტი“ — „ენერგია“ 1:4, „როტ ვაისი“ — „ბრანდენბურგი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი“ | 7 | 13-5 | 11 |
| „დინამო“ (დრეზ.) | 7 | 11-3 | 11 |
| „დინამო“ (ბერ.) | 7 | 12-7 | 10 |

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გფრ**

**მე-13 ტური.** „მიონჰენგლადბახი“ — „ჰამბურგი“ 1:3, „დორტმუნდი“ — „ბოჰუმი“ 0:1, „ჰომბურგი“ — „მანჰეიმი“ 2:1, „ლევერკუზენი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1:1, „ნიურნბერგი“ — „ფრანკფურტი“ 1:1. „ვერდერი“ „შტუტგარტი“ 6:1, „ფორტუნა“ — „ბაიერნი“ 1:2, „სენტ პაული“ — „იურდინგენი“ 1:1, „კარლსრუე“ — „კიოლნი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 13 | 29-12 | 19 |
| „კიოლნი“ | 13 | 20-13 | 19 |
| „ლევერკუზენი“ | 16 | 18-18 | 18 |

**საბერძნეთი**

**მე-5 ტური.** „არისი“ — აეკი 1:2, „ეთნიკოსი“ — „ბაოკი“ 0:1, „ირაკლისი“ — „აპოლონი“ 3:2, „პანათინაიკოსი“ — „ოლიმპიაკოსი“ 2:2, „ქსანტი“ — „პანიონისი“ 0:1, „იონიკოსი“ — „ოფი“ 1:2, „ლარისა“ — „კალამარია“ 3:0, „ვოლოსი“ — „დოქსა“ 0:2, „ლევადიაკოსი“ — „სერესი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პანიონისი“ | 5 | 13-6 | 8 |
| „ოფი კრეტა“ | 5 | 11-4 | 7 |
| აეკი (ათენი) | 5 | 9-4 | 7 |

**არგენტინა**

**მე-9 ტური.** „ინსტიტუტო“ — „ნეველს ოლდბოისი“ 0:1, „უნიონი“ — „ბოკა ხუნიორსი“ 2:2, „დეპორტივო მანდიუ“ — „არგენტინოს ხუნიორსი“ 0:0, „ველეჟ სარსფელდი“ — „რესინგი“ (ბუენოს-აირესი) 1:1, „დეპორტივო ესპანიოლი“ — „გიმნასია ესგრიმა“ 2:1, „ინდეპენდიენტე“ — „სან ლორენსო“ 4:1, „ფეროკარილ ოესტე“ — „ტალერესი“ 1:1, „ესტუდიანტესი“ — „პლატენსე“ 0:1, „რივერ პლეიტი“ — „ჩაკო ფორ ევერ“ 1:0, „როსარიო სენტრალი“ — „რესინგი კორდობა“ 0:2.

| | | |
|---|---|---|
| „ინდეპენდიენტე“ | 9 | 12 |
| „რივერ პლეიტი“ | 9 | 12 |

**შოტლანდია**

**მე-9 ტური.** „აბერდინი“ — „ჰარტსი“ 1:3, „დანდი“ — „სელტიკი“ 1:3, „ჰიბერნიანი“ — „მოზერეული“ 3:2, „რეინჯერსი“ — „დანდი იუნაიტედი“ 2:1, „დამფერმლაინი“ — „სენტ მირენი“ 5:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 9 | 15-9 | 12 |
| „ჰიბერნიანი“ | 9 | 13-10 | 10 |
| „მოზერეული“ | 9 | 13-10 | 10 |

**ესპანეთი**

**მე-7 ტური.** „ბილბაო“ — „ვალენსია“ 1:1, „სევილია“ — „კადისი“ 1:1, „სარაგოსა“ — „ხიხონი“ 2:1, „რეალი“ — „მალაგა“ 4:0, „ოვიედო“ — „სელტა“ 1:0, „ბარსელონა“ — „რაიო ვალეხანო“ 7:1. „ვალიადოლიდი“ — „ატლეტიკო“ 2:0, „მაიორკა“ — „რეალ სოსიედადი“ 0:0, „კასტელონი“ — „ტენერიფე“ 0:0, „ოსასუნა“ — „ლოგრონიესი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 7 | 17-6 | 10 |
| „სევილია“ | 7 | 8-4 | 10 |
| „ატლეტიკო“ | 7 | 8-5 | 10 |

**ავსტრია**

**მე-16 ტური.** „ვინერ სკ“ — „ადმირა“ 1:3, „სენტ პოლტენი“ — „ტიროლი“ 1:2, „შტურმი“ — „ვიენა“ 1:1, „შტეირი“ — „აუსტრია“ 1:5, „ზალცბურგი“ — „კრემსერი“ 3:0, „რაპიდი“ — „გრაცერი“ 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „აუსტრია“ | 16 | 25 |
| „ტიროლი“ | 16 | 25 |
| „რაპიდი“ | 16 | 21 |

**ინგლისი**

**მე-9 ტური.** „არსენალი“ — „მანჩესტერ სიტი“ 4:0, „ჩარლტონი“ — „ტოტენჰემი“ 1:3, „ქოვენთრი“ — „ნოტინგემი“ 0:2, „დერბი“ — „კრისტალ პალასი“ 3:1, „ევერტონი“ — „მილუოლი“ 2:1, „ლუტონი“ — „ასტონ ვილა“ 0:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „შეფილდი“ 0:0, „ნორვიჩი“ — „ჩელსი“ 2:0, „ქუინს პარკი“ — „საუთჰემპტონი“ 1:4, „უიმბლდონი“ — „ლივერპული“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 8 | 21-4 | 18 |
| „არსენალი“ | 8 | 15-5 | 17 |
| „ნორვიჩი“ | 9 | 14-7 | 17 |

(საქ. ინფ.)

## პრეტენდენტია აზია

**[illegible]** (0:0) [illegible] სინგაპურში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის აზიის შესარჩევი ჯგუფის ფინალური ტურნირის მატჩი საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებული ემირატების გუნდებს შორის. აქ 3 ტურის შემდეგ ლიდერობს სამხრეთ კორეის ნაკრები — 5 ქულა, ქულით ნაკლები აქვს არაბეთის გაერთიანებული ემირატების ნაკრებს.

აქვე ცნობილი გახდა, რომ აზიის კონტინენტის ერთ-ერთი ქვეყანა 2002 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენდენტი იქნება. აზიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა პიტერ ველაპანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება სურთ იაპონიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, სამხრეთ კორეას და საუდის არაბეთს.

## ჩოგბურთის ამბები

**ნიუ-იორკი.** ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რეიტინგში საგრძნობლად დაწინაურდა, მას დაუგროვდა 6 ათასი ქულა იმ დროს, როცა მეორე ადგილზე მყოფ მარტინა ნავრატილოვას (აშშ) მხოლოდ 3895 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა არგენტინელი გაბრიელა საბატინი — 3235 ქულა.

**პარიზი.** ანალოგიური რეიტინგი ვაჟთა შორის (აქ ქულათა დარიცხვა სხვა სისტემით ხდება) საფრანგეთის დედაქალაქში გამოქვეყნდა, აქ პირველ ადგილზეა ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 208.53 ქულა, დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი ამ სიაში მეორეა — 178,41 ქულა. მესამე შედეგი აქვს შვედ სტეფან ედბერგს — 133,92 ქულა.

**ანტვერპენი.** ევროპის თანამეგობრობის ჩემპიონატის მეორე წრეში გავიდა ჰორსტ სკოფი (ავსტრია), რომელმაც დაამარცხა ჩეხი კარელ ნოვაჩეკი ანგარიშით 7:6, 7:5. ანალოგიურ შედეგს მიაღწია მიქელ სხაპერსმა (ჰოლანდია), რომელმაც სტარტზე ხოსე არესეს (ესპანეთი) აჯობა — 6:4, 3:6, 6:1.

## ინფორმაცია

**ბონი.** როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიელ ძმებს იან და ინდრეიხ პოსპეშილებს ოცჯერ აქვთ მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი ველობოლში. ახლა მათ ღირსეული მემკვიდრეები გაუჩნდათ თანამემამულეების ორი მიროსლავის ბერგერისა და კრატოხვილის სახით, რომლებმაც დამაჯერებლად გაიმარჯვეს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში.

**პარიზი.** ადგილობრივ ველოდრომზე გრძელდება პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატი წყვილთა ექვსდღიან რბოლაში. ხუთი დღის შემდეგ 134 ქულით ლიდერობას ფრანგი ლორან ფინიონი და შვეიცარიელი ურს ფროილერი ინარჩუნებენ. შარლ მოტე (საფრანგეთი) და ეტიენ დე ვილდე (ბელგია) დაწინაურებულებს 9 ქულით ჩამორჩებიან.

**ბარსელონა.** რბოლა რიგ-რიგი სტარტით მონტჟუიკის მთაზე პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება. წლევანდელი ასპარეზობა მოიგო ჰოლანდიელმა ერიკ ბრეკინკმა, რომელმაც 24 კილომეტრი 59. 15-ში დაფარა.

# მოთმინება, ტომი მოთმინება!

**ამერიკის** სატელეგრაფო სააგენტოს — აპ-ს მიმომხილველს ჯიმ კანინგემს მიაჩნია, რომ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს კრივში, მაიკ ტაისონს სულ მალე ღირსეული მემკვიდრე თუ არა, მოწინაამდეგე მაინც ეყოლება. იგი არის იგი?

...შარშან 19 წლის ტომი მორისონმა დატოვა თავისი ბინა ქალაქ ჯეიში (ოკლაჰომას შტატი) და ბედის საძიებლად კანზას-სიტიში (მისურის შტატი) ჩავიდა, სადაც ამერიკის მოკრივეთა არაოფიციალური ჩემპიონატი ტარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მორისონი არ იყო ნავარჯიშები, შეჯიბრება ადვილად მოიგო. მაშინ დაებადა ყმაწვილს აზრი გამოეცადა თავი ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში.

სეულში მიმავალ გუნდში მორისონი ვერ მოხვდა — ფინალური ბრძოლა წააგო ქულებით რეი მერსერთან მოკრივესთან, რომელიც შემდგომში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მაგრამ ახალბედა სპორტსმენმა მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მორისონით დაინტერესდა ჯონ ბრაუნი — სპორტინვენტარის მწარმოებელი ფირმის მფლობელი და ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელი შტატებში.

ამჟამად მორისონი 20 წლისაა. მას აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური ფიზიკური მონაცემები: სიმაღლე — 188 სმ, წონა — 97,5 კგ, უაღრესად ძლიერი დარტყმა და შესანიშნავი ტექნიკა. მორისონი შარშან პროფესიონალი გახდა. მან პროფესიულ რინგზე უკვე 16 შეხვედრა ჩაატარა და ყველა ნოკაუტით მოიგო, თანაც პირველსავე რაუნდში.

„მას ფანტასტიკურად ძლიერი დარტყმა აქვს, — ამბობენ სპეციალისტები, — და თუ მიზანს მოახვედრა, მეტოქე, როგორც წესი, უსათუოდ იატაკზე ეცემა. სწორედ ამიტომ ფიქრობენ პროფესიული კრივის სამყაროში, რომ მორისონი მალე ტაისონის მეტოქე გახდება“.

„მსოფლიო ჩემპიონი აქამდე იოლად უმკლავდებოდა თავის კონკურენტებს, — ამბობს ჯონ ბრაუნი, — მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მორისონის ძალის დარტყმა. გარდა ამისა, ტაისონის მეტოქეები მასზე უფრო ასაკოვანნი იყვნენ, რასაც კრივში დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახლა, როცა სპორტის ეს სახეობა შესამჩნევად გაახალგაზრდავდა“.

ბრაუნი ეშმაკი, გამოცდილი მწვრთნელია და თავისი მოწაფის შეხვედრას ტაისონთან არ ჩქარობს... ჩვენ ჯერ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და დავხვეწოთ,— აცხადებს იგი. მორისონმა გარკვეული ყურადღება უნდა მიაქციოს დაცვის ელემენტების დაუფლებას, ვინაიდან ტაისონის დამარცხება შეიძლება არა მარტო ძლიერი დარტყმებით, არამედ სრულყოფილი დაცვის წყალობით.

„არ ვჩქარობთ, განაცხადა ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე ბრაუნმა, — ტომის ჯერჯერობით შეუპოვარი ვარჯიში ჰირდება. ვფიქრობთ, მსოფლიო ჩემპიონს ერთი-ორი წლის შემდეგ გამოვიწვევთ, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ გამარჯვებისთვის მზადა ვართ“.

თვითონ მოკრივე კი, ცხადია, ჩქარობს, თუმცა ბრაუნთან შეპასუხებას, ვერ ბედავს: „ერთხელ, — განაცხადა მორისონმა, — ჩემს ბრძოლას თვალყურს ადევნებდა ტაისონი. როცა ის ადგა, შევამჩნიე, რომ მაყურებლებმა, ყველამ ვინც ამ დროს დარბაზში იყო, მისკენ მიაბრუნეს თავი. შემშურდა მსოფლიო ჩემპიონის და ჩემთვის გავიფიქრე: „მოთმინება, ტომი, მოთმინება! გავა ორი წელი და ყველა მე დამიწყებს ცქერას.“

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524